ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №35
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

18.11.2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ქოქრაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ პირდაპირ არ არის მითითება სამუშაო დღეზე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს კომპიუტერული ცენტრით მომსახურება, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ფარგლებში (CPV 72611000 - ტექნიკური კომპიუტერული უზრუნველყოფა).
3.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, მიმწოდებელი შემსყიდველს გამოუყოფს 200 ცალ კომპიუტერს და უზრუნველყოფს მათ ტექნიკურ გამართულობას გამოცდების მსვლელობის დროს.
3.3. თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს მომსახურება, თუ ის შეესაბამება მის მიერ მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მომსახურების ღირებულება ერთი დღისთვის შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.
4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.
4.3. ხელშეკრულების საერთო და ერთეულის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - შემსყიდველის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი მარიანა გამჯაშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების განხორციელება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, მომსახურების გაწევის თითოეულ დღეს.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, საიდანაც ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.
6.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებული პირი.

7. მიწოდების ვადა, დრო და ადგილი

7.1 მომსახურების განხორციელების თრიღები: 2015 წლის 21 ნოემბერი და 2015 წლის 28 ნოემბერი.
7.2 მომსახურების განხორციელების ადგილი: ქ.თბილისი, კოსტავას 77.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურებას განახორციელებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველთვიურად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.
9.4. დაფინანსების წყარო: 2015 წლის საკუთარი სახსრები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და ეცადოს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული საშუალებები.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მიმწოდებლის ამ თანხის გადახდის შესახებ შემსყიდველისგან წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს ოდენობით.

13.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი (დაგვიანებული) თანხის 0,5 %-ის ოდენობით.

13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
მის: ქ.თბილისი, კოსტავას 77
ს/კ 211349192
სს "თი ბი სი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE47TB 060000000 3408001

ქეთევან ქოქრაშვილი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი